საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, ი. აბაშიძის გამზ. 26
ტელ: 228 91 68
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

26 Abashidze Avenue, 4600, Kutaisi, Georgia
Tel: 228 91 68
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 135
„2“ „ივნისი“ 2018 წ.

# დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების - გიორგი ტუღუშის და ირაკლი აბესაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-3/204; 25.06.2018) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების - გიორგი ტუღუშის და ირაკლი აბესაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-3/204; 25.06.2018) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი და აღნიშნავს შემდეგს:

მიმდინარე წლის 22 ივნისს ამოქმედდა „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ და გ.გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ამასთანავე აღნიშნულ მუხლს დაემატა გ.დ“ ქვეპუნქტი. შესაბამისად კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის „გ.ა“ ქვეპუნქტში უნდა აღინიშნოს - კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან (ნაცვლად - კანონპროექტის მიმართებისა ევროკავშირის დირექტივებთან), „გ.გ“ ქვეპუნქტში უნდა აღინიშნოს - კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი (ნაცვლად - კანონპროექტის მიმართებისა საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან), ასევე განმარტებით ბარათს დაერთოს „გ“.დ“ ქვეპუნქტი, სადაც უნდა აღინიშნოს - არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი

მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტის განმარტებით ბარათში მოცემული გარემოება ასახული არ არის, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი, იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტის ბიუროს იმსჯელოს ზემოხსენებული საკანონმდებლო ინიციატივის, მოცემული ფორმით განხილვის პროცედურის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი